თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 7

ქ. თერჯოლა 02.07.2024 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე თემურ ქოჩიაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. თემურ ქოჩიაშვილი, 2. დავით გოგბერაშვილი, 3. ნინო მახათაძე, 4. გოჩა ვერულაშვილი, 5. გიორგი ბარათაშვილი, 6. მანუჩარ ფანჩულიძე, 7. როლანდი მესხი, 8. ფრიდონ გვენეტაძე, 9. გრიგოლ გიორგაძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. რამინი რობაქიძე, 2. კობა კირკიტაძე.

კომისიის შემადგენლობა: 11 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა : 9 წევრი
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282418016, 28.06.2024 წ.).

მომხს.: თ ქოჩიაშვილი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 9 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია საშემოსავლო ნაწილის გაზრდამ და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 200.0 ათასი ლარით და შეადგენს 31069.7 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 200.0 ათასი ლარით. (სხვა შემოსავლები).

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 200.0 ათასი ლარით. მ/შორის:

წყლის სისტემის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია გაიზარდა 20.0 ათასი ლარით.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დაფინანსება გაიზარდა 180.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: გოჩა ვერულაშვილმა, დავით გოგბერაშვილმა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 9, წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: მოწონებულ იქნას ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და საკითხი განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე

თემურ ქოჩიაშვილი